№ 24 თებერვალი 1, ოთხშაბათი — 1889 — თებერვალი 1. ოთხშაბათი № 24

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქართული თეატრი
პარასკევს, 3 თებერვალს
ბენეფისი
მ. მ. საფაროვისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ისპანიელი აზნაური**

(დონ სეზარ დე-ბაზან)

კომ. 5 მოქმ., გად. ა. ი.

II

**კაცის ლონეს ქალის ხერხი სჯობია,**

ვოდ. 1 მოქმ. გადმ. მ. საფაროვისა.

**მოთამაშენი:** ქ-ნნი საფაროვისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, აწყურელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

---

ტფილისი, 31 იანვარი

გუშინ მკითხველს ვუამბეთ, როგორის გულის წყრომით გაჰკიცხა რუსის მწერალმა ლ. ტოლსტოიმ სადღეობო ჭამა-სმა, ქეიფი და ლოთობა. ამ გამოჩენილის კაცის გულის წყრომა იმდენად სამართლიანი იყო, რომ ვერავინ სიტყვა ვერ შეუბრუნა და ტოლსტოიმ საქვეყნოდ დაამტკიცა, თუ რამდენად ძლევა-მოსილია პირუთვნელი, სამართლიანი სიტყვა, გულის სიღრმიდგან აღმოხეთქილი. ლ. ტოლსტოიმ ხელი ჩასჭიდა განმტკიცებულს ჩვეულებას, რომელიც არავის არ ეჩოთირებოდა და ერთის კალმის მოსმით თავისს წინაშე მუხლი მოადრეკინა რამდენსამე ათასს კაცს, სადღეობო ჭამა-სმას შეჩვეულს. ეს კიდევ არაფერი. ტოლსტოიმ თავისის სიტყვით წესი აუგო არა მარტო სადღეობო ჭამა-სმას და ლოთობას, კეთილის საქმისა და აზრის კალთის ქვეშ ამოფარებულს, არამედ ჩვეულებრივს შინაურს ფლანგვას ყოფა-ცხოვრებისას, უზომო ჭამა-სმას, უაზრო და უსაგნო ცხოვრებას.

მართლაც, თუ შესაწყნარებელი არ არის წელიწადში ერთხელ, ორჯელ გამსუნაგება და დათრობა კეთილის საქმის სახელით, ნუ თუ ჩვეულებრივი, ყოველ დღიური უზნეობა, უწესოება, ლოთობა, ყომარბაზობა გასაკიცხი არ არის და ხელ-დასათვარებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი ამ უზნეო საქმეს ოთხ კედელს შუა სჩადის, საკუთარს სახლში და საკუთარის ხარჯით, და საქვეყნოდ არ გამოდის. პირ-იქით, არა-საქვეყნო, ყოველ დღიური უწესოება ერთი-ორად გასაკიცხია, რადგანაც ამ გვარს უზნეობას ასი და ათასი კაცი-კი არ სჩადის, არამედ ათი და ასი ათასი. თუ პირველს შემთხვევაში, ესე იგი კეთილის საქმის სახელით მრავალი ფული და ქონება იხარჯება და იჭმევა და მრავალი კაცი სულითა და გულით ირყვნება და სნეულდება, მეორე შემთხვევაში, ესე იგი ყოველ დღიურს, ჩვეულებრივს უზნეობასა და მსუნაგობას ათსა და ოცს იმდენს ფულსა, ქონებასა და ჯანმრთელობას ანდომებენ. ვინ მოსთვლის, რამდენი კაცი გაუღარიბებია, დაუსნეულებია არა-სადღეობო ჩვეულებრივს უწესოებას, უზნეობას, მსუნაგობას, რამდენი ქვრივ-ოხერი და ობოლი დაუგდია ღვთის-ანაბარად, რამდენი სიმდიდრე შთაუნთქავს ადამიანის უძირო ქვევრს—გაუმაძღარ კუჭს და იმისავე ქვენა გრძნობათა. ღიად, ვინ მოსთვლის ამაებს, ან ვისა სცალიან და ვისა სტკივა თავი ამისთვის?

ამ ყოველ დღიურს ჩვეულებრივს უზნეობასა და ცოდვას ისე შეჩვეულნი ვართ, ისე შევთვისებივართ, რომ ხმასაც არ ამოვიღებთ ხოლმე, როცა გავიგებთ, რომ ესა-და-ეს კაცი მთელს თავის ყოფა-ცხოვრებასა და ჯან-მრთელობას თავისს ქვენა გრძნობათა ანდომებს და ამ გრძნობათათვის არავითარს ხარჯსა და საშუალებას არ ერიდება. პირ-იქით ამ გვარს კაცს ხელს ვუწვდით და თავს ვევლებით და იმას-კი არ ვანგარიშობთ, თუ რამდენად მავნე და მაზარალებელია ეს კაცი როგორც თავისთვის, აგრეთვე საზოგადოებისათვისაც. ამ სახით წლიდგან წლამდე სულით და გულით ირყვნება საზოგადოება და ზოგჯერ მთელი ერი და ერთიცა და მეორეც იქსაქსება და პირ-ქვე ემხობა.

აი, ამ გვარს უბედურებას თვალს არიდებენ ისინიც-კი, ვინც სრულიად გულ-წრფელად მამულიშვილობას კისრულობენ და მუდამ ერისა და საზოგადოების ერთგულებას ჰქადაგებენ. ამ გულგრილობის მიზეზი ის არის, რომ ამ უზნეობასა და გარყვნილებას დიდის ხნის შეჩვეულნი ვართ. კაცი წლიდგან წლამდე მსუნაგობს, გადამეტებულს სმა-ჭამაში ატარებს თავისს სიცოცხლეს, ჰფლანგავს არამც თუ საკუთარს ყოფა ცხოვრებას, არამედ სხვისასაც ხელს აწვდის, ჰყიდის და აგირავებს თავისს მამულ-დედულს, თუ კეთილ-შეძენილს, მთელს თავისს ქონებას ბანქოში აგებს და ეგეთი ყოვლად უზნეო, მავნე საქციელი და ჩვეულება შეუმჩნეველი და გაუკიცხველი რჩება. ამ გვარი ზნეობა და გრძნობა - აშვებული კაცი მზად არის თავისი ნაცნობი თუ მეგობარი სმა-ჭამით გახეთქოს და ღვინოში ჩაარჩოს და თითონაც კარგად გაიქდენთოს, რადგანაც თუ არ ამით, სხვაფრივ რითი დაამტკიცოს, რომ კარგი პურ-ღვინო და მასპინძლობა იცის. მორეული თუ მახლობელი ტაშს უცემს და, აბა, თავი რითი შეიკავოს. აი, ამ აშვებულს კაცს უთხარით, რომ აგერ ესა-და-ეს ჩვენი მოძმე შიმშილით კვდება, და ან არა-და ამ კეთილს საქმეს, თუ დაწესებულებას დახმარება ეჭირვება, და თუ ხელი არ გაუწვდინეთ, ერთსაცა და მეორესაც ბოლო მოეღებაო და ნახავთ, რა პასუხსაც მიიღებთ. მაშინ-როდესაც კუჭისა და ქვენა გრძნობათათვის არაფერს არა ჰზოგავს, კეთილის საქმისათვის ერთს მანეთსაც ვერ გააგდებინებთ. და ან როგორ უნდა გააგდებინოთ, როდესაც გარშემო ტაშს უკრავენ და პატივსა სცემენ უზნეობასა და მსუნაგობას და მოძმეთა სიყვარული, მამულიშვილობა და სხვა სათნოება ჩირადაც არ მიაჩნიათ.

ა. ნა—ლი

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ კავკავიდგან დეპეშა 31 იანვარს, რომ აქ დღეს მოელიან გენერალ-ადიუტანტის გრაფის მ. ტ. ლორის-მელიქოვის სახლობასაო.

*** 30 იანვარს ქალაქის საბჭომ თითქმის მთელი საღამო მოანდომა ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. საბჭომ გადასინჯა და მცირე განსხვავებით დაამტკიცა წრევანდელი მოსალოდნელი ხარჯი. სხვათა შორის საბჭომ დაადგინა მოემატოს წელიწადში ორმოცი თუმანი ჯამაგირი „ობოლთა სასამართლოს“ საქმის მწარმოებელს, რომელსაც აქამომდე ეძლეოდა წელიწადში ორასი თუმანი. ლაპარაკი გამოიწვია ხარჯმა, რომელიც დანიშნულია ქუჩების წმენდაზე. ხმოსან კალოუბნელის აზრით, 35 ათასი მანათი, რომელიც გადადებულია ამ საგანზე, სრულებით საკმარისია, რომ ტფილისის ქუჩები საუკეთესო ყოფაში იყოს, მაგრამ რადგან საქმის წარმოება ცუდათ არის დაყენებული,

---

# ფელეტონი

## ისტორიული მიმოხილვა

ჩვენის ისტორიის შესწავლა დაიწყო ამ ორიოდე წლის წინად. მართალია, წინადაც სწავლობდნენ ქართველთა ისტორიას, მაგრამ ამისთანა შემსწავლელნი იყვნენ ორიოდ-სამიოდენი. ეხლა-კი საქართველოს ისტორიის საკმაოდ მცოდნეთა რიცხვი დაითვლება ათობითა და ოცობით. მართალია, ეს რიცხვიც დიდი არ არის, მაგრამ მაინც, რაც არის, ისიც დიდი წარმატებაა ამ მხრივ. ამას გარდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ყველა კუთხეში დღეს მრავალნი არიან ახალგაზდანი, რომელნიც, შეძლებისადა გვარად, სწავლობენ ჩვენს წარსულს. აქვე მოვიხსენიებთ აგრეთვე იმ ამბავს, რომ თვით უმაღლესს სასწავლებლებშიაც ქართველ სტუდენტებ შორისაც გაიღვიძა სამშობლოს ისტორიის შესწავლის სურვილმა. ათიოდე წლის წინად-კი ესრეთი სურვილი მოსწავლეთა შორის, თითქმის, სრულიად დახშული იყო. ეხლა-კი, როგორც ვხედავთ, შესამჩნევად გაძლიერდა საფუძვლიანად შესწავლა ჩვენის ისტორიისა და კულტურისა. წინა-მორბედნი ამ საქებურ საქმეში არიან მაგალითად ბ-ნი ხახანაშვილი და ნ. მარი. ჩვენის აზრის დამამტკიცებელ საბუთად აგრეთვე ისიც ჩაითვლება, რომ საქართველოში, წარსულის 5-6 წლის განმავლობაში, გავრცელდა სხვა-და-სხვა ისტორიულნი სახელმძღვანელონი, პატარა წიგნაკნი და სხვ. ერისაგან თავის საკუთარ ისტორიის შესწავლა ხომ პირველი ნაბიჯია მისის წარმატებისა და წინ სვლისა. ხოლო ისტორიის შესწავლა უნდა იყოს არა ცალ-კერძი, ცალ მხრივი, არა მიდგომილებით, არამედ კრიტიკული. ყოველ ისტორიულს ამბავსა და გარემოებას, ავია თუ კარგი, თვალს უნდა ვუსწორებდეთ დაურცხვენლად.

ღვთით, ამ გვარი კაცნიც, თითქო, გვიჩნდებიან. ჩვენში არიან თითო-ოროლა მწერალნი, რომელნიც სცდილობენ ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია თვალ-წინ გაგვიტარონ, გვაცნოდინონ ფილოსოფია საქართველოს ისტორიისა. სამწუხაროდ, ზოგიერთნი მათგანი ჯეროვანად ვერ გასცნობიან საქართველოს ისტორიას, ვერ შეუგნიათ მისი ორი ათასს სამი ათას წლოვანი მიმომდინარეობის, არა თუ უმცირესნი ვარემოებანი, არამედ, ხშირად, თვით უმთავრესნიც. იგინი, როგორც სჩანს, რაოდენადმე გასცნობიან ევროპიის ცივილიზაციასა და კულტურას და იმ ალაბით, რომლითაც იზომება ევროპიის კულტურის ავ-კარგიანობა, სზომავენ საქართველოს კულტურასაც. ეს ფრიად საამო ამბავია, დამეთანხმეთ. დროა გამოირკვეს ჩვენი „წყვდიადით მოცული“ წარსულიც; დროა ვიცოდეთ, „ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა“, ან რის მაქნისნი ვართ დღეს და რა შეგვიძლიან მერმისში.

ის მწერალნი, ვიმეორებთ, აღჭურვილნი თვისის „ცოდნითა“ და „ძალონით“, თვალს გადაავლებენ რა ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას, განცვიფრებაში შედიან, რადგან ვერას სანუგეშოს, ვერას კულტურის მოსწავებელს ვერა ჰპოვებენ ჩვენს მრავალ საუკუნოვან ისტორიაში. თუ რაიმე ამ გვარი ჰპოვეს, იმასაც სთვლიან არა საკუთარ, თვით-მყოფელობის ჭკუის ნაქმარად, არამედ გადმონერგილად, გადმოღებულად უცხო ქვეყნებიდამ. თითქო თუნდაც ასრე იყოს, ამ გადმოღებასა და გადმონერგისათვის-კი ჭკუა, მოხერხება და ცოდნა საჭირო არ იყოს და თითქო თვით ამ კულტურულ თესლის გადმონერგვისა და აღორძინებისათვის საჭირო არ იყოს წინასწარი მომზადება, დაფიქრება და ნიადაგის შემუშავება, რომ ახალმა, უცხო ქვეყნიდგან მოტანილმა თესლმა ფესვები გაიდგას, აღორძინდეს და ნაყოფი მოიტანოს. ამ გვარ ფილოსოფოს-კრიტიკოსებისათვის თვით ქართლის-ცხოვრება, რომელიც, მათის აზრით, არის მარტო მშრალი და ხშირად დაუჯერებელი ძეგლი ქართველთ ბრძოლა-ომებისა, მეტად დაბალ ფასის წყაროა, თვით უტყუარი ძეგლი ქართველთ სულიერ და გონებით სიბრწყინვალისა — „ვეფხის-ტყაოსანი“ უბრალო პოემა და ზღაპარია სპარსეთის ისტორიულ ცხოვრების ზედ-გავლენით შედგენილი. იგინი ეჭვითვე უყურებენ და კიდეც უარჰყოფენ ძველის მწერლების (მაგ. სტრაბონისა და სხ.) მოწმობას ქართველთ ძველს ცივილიზაციაზედ, და არად აგდებენ იმ გარემოებას, რომ ქართველებსა და ისტორიაში გამოჩენილთ ერთ დიდი დამოკიდებულება და კავშირი ჰქონდათ ერთმანეთში. მათთვის არ არსებობს ვახტანგ გორგასლანის მეფობა; ქრისტიანობასა, ხელოვნებასა, ხუროთ-მოძღვრებასა და ბევრს სხვა გარემოებას ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ ყოველივე ეს საქართველოში შემოვიდა ზოგი ასურეთიდამ, ზოგი საბერძნეთიდამ, ზოგი არაბეთ-სპარსეთიდამაო. აქ რა შუაშია საქართველოს კულტურაო, გვეუბნებიან. კეთილი. მაგრამ რათ ივიწყებთ, ბატონებო, იმ გარემოებასაც, რომ აწინდელი ევროპის კულტურაც თავისით არ დაბადებულა, რომ ეს კულტურაც ღვიძლი შვილია იტალიისა ძველის კულტურისა და ეს კიდევ—საბერძნეთისა და საბერძნეთისა-კი—ეგვიპტისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო სწორეთ ყბად-აღებულია ჩვენი საქალაქო თვით-მართველობა. საბჭომ დაამტკიცა ეს ხარჯი, ხოლო განმარტება იმისი, თუ როგორი წესი უნდა იყოს შემოღებული და როგორ დაეწყოს საქმე ქუჩების სისუფთავისა, გადასდო სხვა დროსთვის, როდესაც მოისმენენ ბ-ნ კალოუბნელის წინადადებას შესახებ ტფილისის სანიტარულ განწყობილებისა, რადგან ამ საგანს დიდი კავშირი აქვს ქუჩების სისუფთავესთანაო. შემდეგს კრებაზე ბაასი იქნება ხარჯთ-აღრიცხვის მეორე მხარეზე, რომელიც შეიცავს ქალაქის შემოსავალს, და აგრეთვე იმ ღონის-ძიებაზე, რომელიც საჭიროა, რომ ქალაქმა დაჰფაროს წარსულის წლის დეფიციტი და წრევანდელის წლის მოსალოდნელი დეფიციტი.

*** წელს დიდი თოვლი მოგვივიდა მტკვრის არე-მარეში. დატრიალდა გაზაფხულის სუნი და მტკვარმაც დღითი-დღე აიწია. ეს ამოდენა თოვლი თუ მოკლე ხანში დადნა, ცუდი საქმე მოელის არა მარტო უბედურსა და უპატრონო რიყეს, რომელიც შარშან წალეკა მდინარემ და კინაღამ თან არ წაიღო, არამედ მთელს დაბლობ ტფილისსაც. მოსალოდნელი უბედურება ისეთი რამ ზომისაა, რომ ტფილისი უთუოდ ეხლავ უნდა შეუდგეს თავისის თავის გამაგრებას, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. ეს საგანი მხედველობაში უნდა იქონიოს არა მარტო ქალაქის თვით მმართველობამ, აქ ადგილობრივმა მთავრობამაც უნდა რაიმე ღონის-ძიება გამონახოს. ხალხი მაინც უნდა ადრევე გააფრთხილონ, თორემ მოზღვავებულ მტკვრის წინ გადადგომა, როგორც შარშანდელის მაგალითიდამ ვიცით, ადვილი საქმე არ არის.

*** შავს სოფელში ერთი ამბავი მოხდა, რომელიც ნამდვილი გამომეტყველია ანდაზისა: „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“. ამ ადგილას ორი ღარიბი მეშუშე სცხოვრებდა, რომელნიც დიდის გაჭირებით ჰშოულობდნენ დღიურს საზრდოს. ბოლოს ეს ორნი დაამხანაგებულან, გადაუწყვეტიათ, რომ ერთი ცხენი და პოვოსკა ვიყიდოთ, საწვრილმანო ვატაროთ სოფელ-სოფელ და ფული მოვიგოთო. ორივეს ვერცხლის ქამრები შემოუხსნიათ, გაუყიდნიათ და შეუძენიათ ცხენი. კვირა საღამოს, 5 საათზედ, ცხენი გაუტანებია ერთს მეშუშეთაგანს, ალექსი მაისურაძეს, თავის შვილის 12 წლის გიგოსთვის მტკვარზედ, გოგილოს აბანოს ქვეშ, წყლის დასალევინებლად. მდინარეში ცხენს ზედ მჯდარი პატარა ბიჭი გადმოუგდია და გადმოგდებული ფაფარს მოსჭიდებია, მაგრამ ამაოდ: ვეღარც ცხენი გადარჩენილა და ვერც პატარა ბიჭი. დღესაც ვერ უპოვნიათ დამრჩვალი ყმაწვილი. უბედური მამა დიდს სასო-წარკვეთილებაშია თურმე და ძალიან მწუხარე შვილის დაკარგვით.

*** როგორც „ივერიის“ მკითხველს ეხსომებათ ამ თთვის პირველ რიცხვიდამ უნდა დაწყებულიყო სწავლა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურეთა შვილებისთვის ახლად დაარსებულს ორ-კლასიანს სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დაარსების მოთავე იყო და არის ამიერ-კავკასიის რკინის გზის მღვდელი მამა იროდიონ ნანაბოვი. ამ მღვდელმა წარსულ წელსვე მოიპოვა მთავრობისაგან ნება-რთვა სასწავლებლის დაარსებისა და ამასთანავე მეცადინეობდა გზათა მინისტრის წინაშე, რომ ხსენებულს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ნება ჰქონოდათ ხელ მეორედ გამოუცდელად ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის პირველ კლასში შესვლისა. ეს უფლებაც მოიპოვა მამა იროდიონმა და აგერ ყოველივე ესე დღეს ძლივს დააგვირგვინა. ტფილისის რკინის გზის სადგურზე მოსამსახურეთ გამოაცხადეს სურვილი, რომ თთვეში ორს მანეთს გადავიხდით სკოლის სასარგებლოდაო. ასე იყო საქმე დღემდე და დღეს-კი სხვაფრივ არის. დღეს ის არის, ბატონებო, რომ ყოველს კეთილს საქმეს ჩვენში მოქიშპე უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მოკეთე, და აი ამ ყოვლად სასარგებლო საქმესაც დღეს სწორედ ასეთი მოწინაალმდეგენი გამოუჩნდნენ. კიდევ არაფერი, რომ ასეთი მოწინაალმდეგე იყოს ვინმე ერთი უსწავლელი და გაუნათლებელი, ბნელი კაცი, ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი საკუთარი კერძო სარგებლობა ქვეყანას ურჩევნია და საზოგადო სასარგებლო საქმე ფეხებზედ ჰკიდია. საქმე ის არის, რომ მოწინაალმდეგე და ხელის შემშლელია ისიც, ვისაც უნდა უხაროდეს ასეთი საქმე. აი ამისთანა კაცს, წოდებით მასწავლებელს, დაუთათბირებია ერთი მოსამსახურეთაგანი რკინის გზისა და იმისის შემწეობით არწმუნებენ დანარჩენ მოსამსახურე ღარიბ ხალხს, რომ საკუთარი სკოლა ნუ გინდათ, ხელს არ მოგცემთ, აიყვანეთ თქვენი შვილები და მიაბარეთ მზა-მზარეულს სკოლაშიო. იქ სწავლის ფასად, ორის მანათის მაგიერ, ერთს მანათს გამოგართმევენ თთვეში თითო შეგირდზე და ამას გარდა ვინც იქ გაათავებს სწავლას, ყველას დაუბრკოლებლივ მიიღებენ სატეხნიკო სასწავლებელშიო. ამ სახით სამრევლო სკოლის დაარსება დაბრკოლდა, რადგან მოსამსახურენი ვერა ჰგრძნობენ, რომ იმათთვის ბევრად სასარგებლოა თავიანთი საკუთარი სკოლა იქონიონ, თავიანთი საკუთარი მასწავლებელი და თავიანთივე მოძღვარი იყოლიონ სამღვთო წერილის მასწავლებლად ამ სკოლაში. იმედია, რომ თვით რკინის გზის გამგეობა ჩაერევა ამ საქმეში, დაარწმუნებს მოსამსახურეთ, რომ თავიანთ წინანდელს გარდაწყვეტილებაზე ხელი არ აიღონ და არ დაუჯერონ იმათ, ვინც კერძო სარგებლობისათვის ხელს უშლიან საზოგადო და საკეთილო საქმესა.

*** „ახ. მიმოხილვას“ შეუტყვია, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობას მთავრობის ნებართვა მოსვლია გუბერნიის მარშლის არჩევანი მოახდინოს, რადგანაც წარსულს არჩევანზე არჩეული თავ. პ. ნაკაშიძე მარშლობაზე დამტკიცებული არ იქმნაო. ახალი არჩევანი დანიშნულია ამ წლის მაისის თხუთმეტისათვის.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. წინარეხი. მეტის-მეტად შეაწუხა ხალხი ამ საძაგელმა ამინდმა. დამდეგ დეკემბერს დაწყებული მთელი კვირა ითოვა და დღესაც დიდი შეუმლელი თოვლი სძევს ტყე-მინდორში. გზები შეიკრა არამც თუ შორის სოფლებისაკენ, არამედ ახლო-მახლო სოფლებშიაც ვერ გაატანს კაცი თოვლით დაფენილს გზას. საწყალი გლეხი ხომ დიდს გასაჭირშია: უგზო-უკვლოობის გამო გლეხი ვეღარსად წასულა სამუშაოდ, არც საქალაქო შეშა აქვს დამზადებული, არც სარი აქვს მოჭრილი და აბა როდისღა ელირსება საბრალო გლეხი ვენახის მუშაობას! არც შეშა-ფიჩხია კვლავინდებურად მომზადებული, ყველა საქმე საგაზაფხულოდ არის დარჩენილი და არა მგონია ჩვენმა გლეხმა ყველა საქმე მოჰკლას დროზე. დაუკრეფია საცოდავად გულ-ხელი და ზის ცეცხლა-პირა, რომელიც თითქმის ჩამქრალა უშეშობის გამო. მთელი სოფელი რომ მოიაროთ, გარდა სამი-ოთხის კომლისა, ვერავის კარებზედ ვერ იპოვნით შეშა-ფიჩხს, წვრილმანის გარდა, ისე უშეშოდ არიან. წინად თოვლის მოსვლამდე წირვებსა და ქორწილებს მოუნდნენ და მარტო საქორწილო შეშა-ფიჩხი მოყარეს კარებზედ. ქორწილებს შემდეგ მოვიდა დიდი ვეებერთელა თოვლი და წევს ტყესა და მინდორში. ისევ თითონ კაცებს თუ მოაქვსთ მარხილებით ხმელი წინათვე აგროვილი შეშა, თორემ ეხლა საქონელს ვინ გარეკავს ტყეში—მაშინვე ფეხი მოსხლტება და მოიტეხს, რითაც ჩვენი გლეხი კიდეც დაიღუპება და კიდეც. ეხლა-კი, გაგიხარიანთ, დიდს სინანულში არიან და ჰფიცავენ საკულაოდ, რაც უნდა დიდი გასაჭირი საქმე ჰქონდეთ, ჯერ შეშას დაიმზადებენ.

სკოლა ხომ გაჭირებულ საქმეშია აქ უშეშობის გამო! თავიანთთვის არა აქვსთ აქაურებს და აბა სკოლას ვინ მისცემს! საბრალო გლეხები თითო პაწკინტელა ლატნებს აჩუქებენ ხოლმე სკოლასა და ამ ლატნების ამარას არიან მოწაფეები, რომლებსაც საცოდავად აქვსთ დაყინული ხელები და ხელში ვერა დაუმაგრებიათ-რა სიცივისაგან. აქაურმა მოხელეებმაც ვერ ითავდარიგეს და შეშა დროზედ ვერ მოატანინეს ხალხს სკოლისათვის. უშეშობას ჯანი და სული წაუვიდეს, ნეტავი კაცს არ მოშივდეს! მაგრამ კიდეც შივდება: წელს ჭირნახული ხომ ნაკლებ მოვიდა და ღარიბს გლეხს ხომ სულ ნაკლებ მოუვიდა საჭმელ-სასმელი და ეხლა შიმშილით წვიან! გამოაქვსთ საწყალობლებს ხალიჩა-ფარდაგი, ბალიში, რომლების მეტი აღარა აქვსთ და ჰყიდიან, მაგრამ სად გაყიდონ, ვის მიჰყიდონ. რატომ კვერცხებს, ქათმებს, რძეს და ამისთანა სხვას არასა ჰყიდიან, იკითხავ, მკითხველო! მერე სადღა გაუშვა ამ სიცივემ ან ქათამი, ან კვერცხი, ან რძე, ან ერთი და ან მეორე? ქათმები ყინვით იხოცებიან და თუ არ იხოცებიან ყინვისაგან კვერცხებს აღარ იძლევიან და, თუ იძლევიან, ყინვისაგან კვერცხი სკდება და მთლად გულით-ცილით იყინება; ძროხები ხომ სულ დაშრნენ და ნამ რძესაც აღარ იძლევიან. ერთის სიტყვით, აღარაფრის შოვნა აღარ არის! კართოფილი, ბოლოკი და სხვა ხომ სუყველა დასძრა და პანტა-პუნტით გადაყარ-გადმოყარეს გზაზედ აქაურმა გლეხის ცოლებმა. დარჩათ ერთი ღვთის წყალობა—ლობიო და ესეც ნაკლებ მოუვიდა წელს გლეხს! ცხვარი ხომ რაღა მოგახსენოთ—სულ ერთიანად გაიჟუჟება და იჟუჟება კიდეც. ეხლა-კი გლეხები რაღაცა სიხარულში იყვნენ და სიხარულით უძახდნენ ერთმანეთს: ქალაქის გზები გახსნილაო და რომ მოაგონდათ, რომ ქალაქს წასაღები გასაყიდად აღარა ეშოვებათ-რა, ისევ ნაღველს მიეცნენ. ამოდენა უსაქმობა რამ უნდა მოათმენინოს ჩვენ გლეხსა! ნეტავი ვენახები მაინც იმუშავებოდეს, მაგრამ ასეთი თოვლი ძევს, რომ მარტამდისაც მგონი ძლივს აიღოს.

სან-მან

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. მთელის ევროპის ყურადღება ჩანთქა იმ უბედურებამ, რომელიც ავსტრი-ვენგრიას ეწვია. თვალი ყველასი დატყვევდა და ვენისაკენ იცქირება. ყველა მხოლოდ იმასა სცდილობს, გაიგოს უფრო მეტის დაწვრილებით საშინელი ამბავი ავსტრიის მემკვიდრე პრინცის საიდუმლო

---

ინდოეთისა და ასურეთისა. თქვენის ლოღიკით დღეს ხომ უნდა უარ-ვყოთ ყველა ხსენებულ ერთა კულტურა. აქ, რასაკვირველია, ესე ვითარნი მწერალნი ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ სხვა-და-სხვა ერში არსებობს განსაცვიფრებელი ერთობა, რომელიც აიხსნება კაცობრიობის ბუნებისა და საზოგადო ცხოვრების მსგავსებისაგან და ეს მსგავსება და ერთობა თვით ცივილიზაციასა და კულტურასაც რაოდენადმე ერთს ფერსა სდებს. დიდებულთა მკვლევართა და მეძიებელთა კაცობრიობის წარსულისა დიდი ხანია განმარტეს ერთობა და კავშირი სხვა-და-სხვა ერთა და სხვა-და-სხვა დროთა კულტურისა. აწ აღიარებულია ის ჭეშმარიტება, რომ კულტურულ ერთა ცივილიზაციასა და აწინდელ ნადირ-მყოფთა კულტურას შორის არსებობს დიდი მონათესაობა. განმარტებულია, თუ რა ნაირად გამოვიდა კაცი ნადირ-მყოფთა მდგომარეობიდამ, რა ნაირად განვითარდა გონებითა და ზნეობით. რა ნაირად მოიგონა იარაღი, საცმელი, შენობა, დაიმორჩილა პირუტყვნი და სხ. შემდეგ რა ნაირად განაკარგა იარაღნი (მოიგონეთ ქვის საუკუნე, ბრინჯაოსი, რკინისა. და სხ.), საცმელი, საჭმელი გაამრავლა, მოიგონა ნაოსნობა და დაიწყო ვაჭრობა, აღებ-მიცემა, გამართა მთავრობა და სახელმწიფო და სხ. და სხ. აწინდელმა საუკუნოებმა ხომ დიდი სასწაულები აღმოაჩინა ცასა და დედამიწაზედ.

კაცობრიობას აქვს დიდი ურთიერთ შორისი კავშირი. ერთგან სადმე თუ აღმოანათებს კაცის გენია, იგი თან და თან ანათებს დიდს მანძილზე, იმის ნათელის სხივი აშუქებს შორს, მაღრიბიდგან მაშრიყამდე. კაცი იმიტომ არის კაცი, რომ შეიგნოს ჯერ შეუგნებელი, მისწვდეს მიუწდომელს და იძიოს გამოუძიებელი და კულტურაც იმ ნიადაგზე ხეირობს, საცა ხალხი მუდამ მიისწრაფის წინ, არა დგება ერთ დონეზედ; როგორც ქურაში მჭედელი ჰკვერავს რკინეულობას, ისე ერის გონება, მეცნიერება თავისებურად ახალისებს, ჰჭედავს და ალამაზებს ზნე-ჩვეულებას, საცმელსა, იარაღს და ყოველსავე იმას, რისგანაც შესდგება ეგრედ წოდებული კულტურა კაცობრიობისა საზოგადოდ და რომელისამე ერისა კერძოდ. ხშირად მოჰხდება ხოლმე, რომ რომელიმე კერძო, რომელიმე წვლილი კულტურისა იბადება ერთის ერის გენიოსობის წყალობით და იგი კერძო, იგი წვლილი ვრცელდება სხვა ქვეყანაშიაც. იქ ხალისდება, მკვიდრდება და ფესვებს იდგამს. მაგ., დიდებული იარაღი—ანბანი-კაცობრიობის ფილოსოფიის დასაცველად და აღსაბეჭდავად პირველად მოიგონეს ფინიკიელებმა და იმათგან შემდეგში იგი იარაღი სხვა-და-სხვა სახეობით მოედო თითქმის მთელს მსოფლიოს. ასრევე მოჰხდა ხუროთ-მოძღვრულ ხელოვნების გავრცელებაში, იარაღების მოგონებაში, ტყვია-წამლისა, თოფ-ზარბაზნის შემოღებაში და სხ. აგრეთვე ძველი წარმართული სჯული გაფაქიზდა, გამშვენიერდა და რამდენიმე გარეგან სახეობით მოედო მთელს კაცობრიობას. ქრისტიანობის სამშობლო იყო პალესტინა, მაგრამ იქიდგან ამ სარწმუნოებამ მალე დაიმორჩილა სხვა-და-სხვა ქვეყნები, სხვა-და-სხვა ერნი. შემდეგ, თითქმის, ყველა ერმა თავისებურად მოაწყო საკუთარი ეკკლესია, საკუთარი ფერი დასდო იმის მმართველობასა და გამგეობას. ამ სვეს ვერ ასცილდა ვერც საკაცობრიო მითოლოგია, ვერც ენა, ვერც ზნე და ჩვეულებანი და სხ. ყველა და ყოველივე ესე თუ საერთო, საკაცობრიოა, სხვა-და-სხვა ერში მრავალ ფერად და მრავალ სახით არსებობს. ქვეყანაზედ 3,000 მილიონამდე სული კაცი თუ ქალია, მაგრამ მათ შორის ორიც არ მოიპოვება ისეთი, რომ ერთი მეორეს სრულიად და სავსებით ჰგვანდეს. ასრეც ორი ერია. ყველას ზნე-ჩვეულება და სხ. თუმცა საერთო წყაროდამ შეიქმნა და აღორძინდა, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოებაში ჩავარდნილმა საკუთარი ფერი მიიღო, საკუთარი იერი დაიჩნია.

ეხლა რომ ჩვენი კრიტიკოსები უარჰყოფენ ჩვენს ისტორიას, წარსულს, რადგან, ვითომ, მათის აზრით, ყოველივე გადმოღებული გვქონია, განა მართალნი არიან? არა. ასრე შეიძლება, ვამბობთ, უარ ვყოთ ყოვლის ერის ისტორია და მაშინ დაშთება მხოლოდ მშრალი ისტორია მთელის ხალხოსნობისა. მართალია, ძველის იტალიელებისა არ იყოს, „მთელი სამსოფლიო არის ერთი მამულიო“, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ხალხოსნობის ისტორია კერძოდ შესდგება სხვა-და-სხვა ხალხის ისტორიისაგან, სხვა-და-სხვა თავისებურად დამკვიდრებულ კულტურისაგან და ჯამი ყველა ხალხების კულტურისა არის კულტურა კაცობრიობისა.

რომ ნათლად წარმოგვიდგეს თვალწინ, თუ რა არის კულტურა, რა ელემენტებისაგან შესდგება იგი, აქ მოვიყვან სიტყვებს დიდ-ბუნებოვან ისტორიკოსის ჰიპბონისას: „ძველთა და ახალთ ზღვათა-მავალთა აღმოჩენილებანი და შინაური ისტორია, ანუ გარდმოცემანი განათლებულ ხალხებისა ველურ კაცს გვიხატავენ გონებითად და ზნეობითად შიშველს, რომელსაც არა აქვს არც კანონები, არც ხელოვნებანი, არც იდეიანი და არც ენა. ამ პირველ-ყოფილ მდგომარეობიდამ ხალხოსნობა თანდათან ამაღლდა და შეიძინა ბატონობა პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვდილისა. ალარავის ახსოვს თითქმის თავისი საკუთარი საქმეები, გამწვავებული კამათობა შინა და გარე საქმეების გამო. გერმანიას ლამის დაავიწყდეს ზანზიმბარი და სამოა, არაბების შელაგმვა და მონობის მოსპობა აფრიკაში; საფრანგეთი ისე გამწვავებით აღარ ეკიდება ბულანჟეს საქმეს, მის გამარჯვებას არჩევანებზე და პალატის მოქმედებას; ინგლისი, ეს გულ-გრილი, გულ-ცივი და დარბაისელი ინგლისიც-კი ციებ-ცხელებიანივით თრთის, რომ შეიტყოს მეტის დაწვრილებით, მეტის გამოწვლილვით საშინელის, საიდუმლოს დრამის ამბავი. გაზეთებმაც აარიდეს ალლო საყოველთაო სურვილს, კორრესპონდენტები დაჰქრიან, დაძვრებიან აქეთ-იქით და სწერენ დაუსრულებლივ თავიანთ გაზეთებს ყოველსავე, რასაც-კი იგებენ, რასაც-კი იძიებენ და რასაც-კი ყურს მოჰკვრენ ამ სამწუხარო ამბის გამო ან ქუჩაზე, ან ბირჟაზე ან კაფე-რესტორანებში, ან დიდ-კაცობაში და მეჯორეთა შორის. გაზეთები გერმანიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და სხვათა ევროპის ქვეყნებისა ერთმანეთს ეჯიბრებიან და უნდათ უფრო მეტის ინტერესით, მეტის კერძოობით აცოდინონ თავიანთ მკითხველებს მემკვიდრე პრინცის გარდაცვალების გარემოება. მაგრამ, რასაკვირველია, პარიჟის გაზეთებს ვერც ინგლისური და ვერც გერმანული გაზეთები ამ მხრივ წინ ვერ უსწრობენ. ფრანგულ გაზეთებში კიდევ „Figaro"-ს უჭირავს პირველი ადგილი. აი რასა სწერს ამ გაზეთს ვენელი კორრესპონდენტი:

„თუ ავსტრი-ვენგრიის მთავრობა ჰფიქრობდა, რომ რაც გამოვაცხადეთ, ამითი დამშვიდდება ქვეყანაო, ძალიან შემცდარა. ყველგან იმდურებიან, რომ მთავრობის მიერ გამოცხადებულს ამბავს გულ-წრფელობა არ ეტყობა და არც ყველაფერს ამბობს, რაც ნამდვილად იყოვო. ყველგან იმას გაიძახიან, რომ უბედურების შემდეგ მთავრობა მხოლოდ იმას ამტკიცებდა, ვითომ რუდოლფს წვეთი დაეცა და იმან გამოასალმა წუთი-სოფელსაო. ერთმა გაზეთმა გაჰბედა და ეჭვი აიღო, მთავრობა ჰმალავს ნამდვილს გარემოებასაო. ამაზე ეს გაზეთი აკრძალულ იქმნა მაშინათვე. ამბობდნენ, რომ რუდოლფმა სიკვდილის წინად რამდენიმე წერილი დასწერა, მაგრამ, ამ წერილებს გარდა, სხვა რამაც იყო ამ საქმეშიო.

არც ერთს წარმომადგენელს იმპერატორის სახლეულობისას ნება არ მისცეს დასწრებოდნენ, როცა ცხედარი მიცვალებულისა ჩაასვენეს კუბოში. თვით გოფბურგში ათას ნაირი ლაპარაკი ისმის გარდაცვალების გამო. ზოგიერთმა-კი იცოდა, რომ თავი და კისერი რუდოლფს უცნაურად შეუხვიეს მეიერლინგში მკურნალებმა. კაცს ეგონებოდა, თავი და კისერი მოშორებული აქვს სრულიად ტანსაო. ყოველივე ესე მალე გავრცელდა ვენაში და ეხლა ალარავის არა სჯერა, რომ ვითომ პრინცმა თავისი თავი თვითონ მოიკლაო. ოთხშაბათს უბედურება შეემთხვა კაცს და ხუთშაბათს-კი უნდა ენახა ზოგი ვინ, ზოგი ვინა და დროც ასე დაუნიშნა, ხუთშაბათს გნახავთო. ამას გარდა კიდევ ოთხშაბათს დილით, ნახევარ საათის წინად უბედურებამდე, ეუბნება პირის ფარეშს, გოშეკს, ყავა მომიტანეო. თუ კაცს თავის მოკვლა თავადვე უნდოდა, ყავას რაღაზედ დაიბარებდა და ან ნაცნობებს რაღაზედ შეუთვლიდა, ხუთშაბათს გნახავთო. მერე რატომ მარტო არ წავიდა მეიერლინგში, როგორც ხშირად იქცეოდა, და რად წაიყოლია თან ფილიპე კობურგელი, თავისი სიძე, და ბევრნი კიდევ სხვანი? ყოველივე ამის გამო დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი.

ერთნი ამბობენ: კრონ-პრინცი დუელშია მოკლული. დუელში უნდა გასულიყო ისეთ კაცთან, რომელიც გვარიშვილობით არ ჩამოუვარდებოდა თვით რუდოლფსაო; უნდა გასულიყო იმიტომ-რომ დიდი შეურაცხყოფა მიაყენაო. მეუღლემ რუდოლფისამ სტეფანიამ აღარ ინდომა ნახვა ფილიპე კობურგელისა, რადგან ამან იკისრა სეკუნდანტობა დუელზეო. უნდა-კი ვსთქვათ, რომ ჭრილობა პრინცს კეფაზე აქვს, მაშასადამე დუელის ამბავი ტყუილი უნდა იყოს.

მეორენი ამბობენ: პრინცი ნადირობაზეა მოკლული. ეს თქმაც ტყუილია, რადგან დამტკიცდა, რომ ოთხშაბათს პრინცი სახლიდამ გარედ არ გასულა და ხამშაბათსაც სულ შინა მჯდარა.

მესამენი ამბობენ: პრინცი შეიქმნა მსხვერპლი საპოლიტიკო აზრით ჩადენილის მკვლელობისაო. ესეთი თქმა უფრო საზღვარ-გარეთ არის გავრცელებული და საბუთები-კი არ არის ამის დასამტკიცებლად.

მაშ სად იფარება ჭეშმარიტება, სად არის მართალი დაფარული? მე ბევრ ნაირად ვიძიე ეს საქმე და ვგონებ, რომ ჭეშმარიტება მე ვიცი. ვიცი-კი, მაგრამ ძნელია მისი თქმა. ამიტომ ბოდიშს ვიხდი, თუ ცოტა გარკვევით ვერა ვსთქვა ყველაფერი. კვირა საღამოს რუდოლფი გერმანიის ელჩის რეისის სახლში იყო ბალზე და ძალიანაც მხიარულობდა. სულ ცოტა, 50 კაცს გამოელაპარაკა და ეზაასა. ერთის სიტყვით, პრინცი ძალიან კარგს გუნებაზედ იყო.

ეგონათ, რომ პრინცი იმ ღამესვე მეიერლინგს წავაო, მაგრამ არ-კი წავიდა. მან სთხოვა ფილიპე კობურგელსა და გრაფ გოიოსს, თქვენ წადით უჩემოდ და-კი არავის გაუმხილოთ, რომ მე აქა ვრჩებიო.

ორშაბათს დილით, ასე 7 საათზე, ერმა აქაურმა დიდებულმა, რომლის გვარშიაც ბევრი დიპლომატები დაბადებულან და აღზრდილან, შენიშნა, როცა გარედ გამოვიდა ცხენების გასაწვრთნელად, რომ იმის სასახლიდამ ვიღაცა კაცი გამოდის. დიდებული გამოეკიდა და რუდოლფი-კი იცნა. არავინ იცის, რა მოხდა მათ შორის, ხოლო იმ დღესვე იმ დიდებულმა დაიბარა თავისი ძმა და დიდხანს ითათბირა იმასთან ცალკე ოთახში.

მერე კრონ-პრინცი წავიდა მეიერლინგს, საცა ინადირა ორშაბათს. ოთხშაბათს დილით გოშეკს უბრძანა წერილები მომართვიო. გოშეკმა მოახსენა, რომ ბალში ვიღაც ორი კაცია, თქვენო უმაღლესობავო.

— არა უშავს რა, ეგენი უთუოდ ეგერები არიან.

პრინცმა დაიწყო კითხვა წერილებისა, ლოგინში წამომჯდარმა, ზურგით ფანჯარას შექცეულმა. ამ დროს მოისმა რევოლვერის სროლა. რუდოლფი მოჰკლეს ფანჯრიდამ ნასროლის ტყვიით.

აი ეს გავიგე მე აქ, საცა ყოველივე იციან და არა-რა დაფარული არა რჩებათ-რა. თუ ვინმე იჭვნეულობას დაიწყებს, შემიძლიან დავამტკიცო კიდეც ჩემი მოწერილიო".

საინტერესოა ინგლისისა და გერმანულის გაზეთების ლაპარაკიცა, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ამაზე ვთავებთ რუდოლფის გარდაცვალების მოთხრობას.

◆◆

## წვრილი ამბები

ისპანიის მეფეს დონ-ალფონსს მე-XIII ჩქარა შეუსრულდება სამი წელიწადი. მისი უდიდებულესობა მშვენიერი ყმაწვილია, გრძელი, ქერა თმა მხრებზედ სცემს. ამ პაწია მეფეს თავისი საკუთარი ამალა ჰყავს, სამხედრო და სამოქალაქო. თუმცა გენერლები და ადიუტანტები მისის გარდაცვალებულის მამისა, მეფე ალფონს მე-XII-სა, ეხლა დედოფალს ემსახურებიან, მაგრამ ოფიციალურად-კი მეფისა მოსამსახურენი არიან. ყველა ამათ წარჩინებული ადგილები უჭირავსთ სახელმწიფო ჯარში და პოლიტიკაში არასოდეს მონაწილეობას არ მიიღით. სამოქალაქო ამალაშივე ითვლება: ქ-ნი ტაკონი, აღმზრდელი ალფონს მე-XII, პაჟები და სხვა პირის-ფარეშნი.

პაწია მეფეს ძალიან უვლიან და სათუთად ინახავენ. როგორ ატარებს დროსაო, იკითხავთ. დილა ადრიანად აბანავებენ და ტანთ აცმევენ ძიძები და შემდეგ მთავარ ძიძას გადასცემენ ხელში ასაყვანად. ეს უმთავრესი ძიძა, რეიმუნდა, მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ასაზრდოებს მეფეს და ოფიციალურ დღესასწაულების დროს ხელით დაჰყავს. ისპანიაში საზოგადოდ პატარა ბავშვები თავისს ძიძასთან ერთად წვანან, ხოლო ისპანიის მეფეს თავისი საკუთარი აკვან-ლოგინი აქვს.

ტანთ რომ ჩააცმევენ, მეფე მიჰყავსთ დედოფალთან. აი აქ ყმაწვილის წინაშე ხანდახან დადიან მინისტრნი, წევრნი სამეფო გვარეულობისანი, ისპანიის გრანდები და ლაპარაკი აქვსთ პოლიტიკაზედ. მეფე სრულიად გულ-გრილად ეკიდება ამ ამბავს, არა ესმის-რა იმათის ბაასისა, რადგან არც ის იცის, თუ რა დიდებულის როლისათვის არის ამ ქვეყნად მოვლენილი. როცა იმის გარშემო სახელმწიფო საქმეების განსჯაში არიან, მისი უდიდებულესობა ცელქობს და ცმუკავს, რადგან ბუნებითად მეტად ცოცხალი ყმაწვილია.

ხანდახან ძიძასა და დედოფალს შეტაკება მოუხდებათ ხოლმე მეფის გამოისობით. ერთხელ, მაგალითებრ, ერთი მაღალ-წარჩინებული ქალი სადარბაზოდ იყო დედოფალთან. დედოფალმა მოიწადინა ეჩვენებინა სტუმრისათვის შვილი და ალფონს მე-XIII ოთახისკენ წაიყვანა, ხოლო კარებში ორივე უმთავრესმა ძიძამ შეაყენა თურმე: „ნუ შემოხვალთ, სძინავსო". დედოფალმა გაიღიმა თურმე, ბოდიში მოიხადა სტუმარ-ქალთან და სთქვა: „რას იზამ, მონარქია ჯერ-ჯერობით ამ გლეხის დედაკაცის ხელშიაო".

თუმცა პაწია მეფეს ეხლა ძუძუს აღარ აწოვებენ, მაგრამ ძიძა მაინც არა ჰშორდება. ამ ძიძის ხელიდგან ყმაწვილი აღმზრდელთან უნდა გადავიდეს. ამ უკანასკნელს თანამდებობას უეჭველია ქ-ნს ტაკონს მიანდობენ.

თუ კარგი დარი დგას, მისი უდიდებულესობა ეტლით მიჰყავთ სასეირნოთ. პაწია მეფეს თავისი საკუთარი ეტლი აქვს და გვერდზედ მხედარი მისდევს. მეეტლეს სახელმწიფო ლივრეია აცვია. ზამთარში ხუთს საათზე და ზაფხულობით ექვსზე მისი უდიდებულესობა სასახლეში ბრუნდება სასადილოდ. რაღა თქმა უნდა, პაწია მეფე მარტო სჭამს სადილს, რადგან დედოფალს ყოველთვის ბევრი სტუმარი ჰყავს.

ოფიციალურ დარბაზობის დროს სამეფო ტახტზედ ადის უმთავრესი ძიძა და ხელში პაწია მეფე უჭირავს, მეფის მარჯვნივ დედოფალი ჯდება, შემდეგ ინფანტები, გრანდები, ქალები, აზნაურნი და სხვანი წარჩინებულნი, სადიპლომატიო კორპუსი, სენატი, მინისტრები, გენერლები, ადმირლები და სხვანი... უმეტესად სადღესასწაულო სიჩუმეს არღვევს სამის წლის მეფე, ჯდომა ჰბეზრდება და მოჰრთავს ტირილს.

არავის ფოტოგრაფიული სურათი ისე არ იყიდება, როგორც სამის წლის მეფე ალფონს მე-XIII. იჯიბრება ამ მხრივ საფრანგეთში გაჯიბრობს გენერალი ბულანჟე, თორემ სხვა ვერავინ გაეთანასწორება

— დედათა ემანსიპაცია, როგორც სჩანს, ძალიან წინ მიდის დანიაში. ამ სახელმწიფოში არსებობს „საზოგადოება დანიელთა დედათა", რომელსაც დიდძალი წევრები ჰყავს. აი ეხლა როგსდაგში შეუტანიათ თხოვნა 20,000 ქალის მიერ ხელ-მოწერილი. ამ თხოვნა-

---

რუტყვთა ზედა, ისწავლა მეურნეობა მიწისა, გადალახვა ზღვათა და ზომა ცისა და ქვესკნელისა"... ტეილორი კიდევ ამბობს: „კულტურა ანუ ცივილიზაცია საზოგადოდ ეტნოგრაფიულის მხრით შესდგება ცოდნისა, რწმენისა, ხელოვნებისა, ზნეობისა, მართლიერებისა, ჩვეულებათა და ზოგიერთ სხვა ნიჭიერებათაგან, რომელნიც კაცმა, ვითარცა საზოგადოების წევრმა, შეითვისაო".

ზემორე ხსენებული ჩვენი კრიტიკოსები-კი საქართველოს ისტორიას უარ-ჰყოფენ, რადგან მასში კულტურულს ელემენტს ვითომ ვერას ჰპოვებენ, როგორც ვსთქვით. მართლა ნუ თუ ქართველმა კაცმა 2,000—3,000 წელიწადი იცხოვრა და ამ უშველებელ დროს განმავლობაში სულ უქმად იყო და ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა არა თუ კაცობრიობას, არამედ თვით თავისს თავს, თავისს ქვეყანასაც-კი...

გარწმუნებთ, ჩვენ არა ვართ ქართველთა ისტორიის პანეგირისტი და გუნდრუკის მკმეველი. მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან დავდუმდეთ, როდესაც ესე ხელ-აღებით უარ-ჰყოფენ ჩვენს წარსულს ზოგნი უვიცობით, ზოგნი-კი იმიტომ, რომ იგი წარსული მათ დიდებულ ძალად მიაჩნიათ, იმ ძალად, რომელიც ასულდგმულებს, ზურგს უმაგრებს იმ თავითვე ქართველებისთანა ყოფაში ჩავარდნილს ხალხს...

სხვას ყოველივეს ზურგი რომ შევუქციოთ, იმ ფაქტებს მაინც ალტაცებით როგორ არ უნდა მივეგებნეთ, რომ საქართველო გაქრისტიანდა ბერძნებთან ერთად, ქრისტიანული მოქალაქეობა დაიწყო, მოაწყო ნაციონალურის ეკკლესიის გამგეობა და ამ ეკკლესიას მეხუთე საუკუნეშივე მიანიჭა დამოუკიდებლობა და თვითმყოფელობა. აგრეთვე სამშობლო ენაზე შეჰქმნა საეკკლესიო ლიტერატურა, რომლის უტყუარი ნაშთები დღესაც არსებობენ მე-VI, მე-VII-დე, მე-VIII და შემდეგ საუკუნოებიდამ. ძველს მატიანეს-კი თუ დავუჯერებთ, ქართველთ სახარება გადმოუღიათ მეხუთე საუკუნეშივე. ყოველსავე ამას რომ მივიღებთ მხედველობაში, ნუ თუ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საქრისტიანო საქართველოში პირველ საუკუნოებიდამვე ტრიალებდა რაღაც დიადი მისწრაფება, აზროვნობა და ამ საიდუმლო მისწრაფებამ შთააგონა ქვეყნის მოურნეთ, რომ ქრისტიანობის მოსაფენად ხალხში, ქრისტიანურად სალოცველად საჭიროა საერო ენაზედ გადმოღება ღვთის-მეტყველებისა. დიაღ, ეს მოაზრება არ არის წინააღმდეგი არც ფილოსოფიისა და არც მეცნიერებისა. ავტოკეფალ, თვით გამგე ეკკლესიისათვის საჭირო იყო ღვთის დიდება ღვიძლს ენაზე. იწყეს ქართველებმა შესწავლა უცხო ენებისა. ამ სწავლამ ნაყოფი მოიტანა. ქრისტიანობის მიღებიდამ არ გასულა სულ ორს საუკუნეს, რომ ქართველთა ენაზედ გაეწყო ღვთისმეტყველება. თვით ამ ღვთის-მეტყველების გაწყობას სამშობლო ენაზედ ჩვენს თვალში დიდი ფასი სდევს, დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ქართული ენა მაშინ უკვე საკმაოდ განვითარებული იყო, რომ შესაძლებელი შეიქმნა გადმოღება სალმთო წიგნებისა.

საეკკლესიო ლიტერატურის დაარსება საქართველოში ერთი ნაბიჯია ქრისტიან ქართველთ სულიერ და გონებით ცხოვრებაში. მას მოჰყვა მეორეც. იგი არის გავრცელება საერო ლიტერატურისაც. გუჯრებისა და სიგელების წერა საქართველოში შემოვიდა მე-IX—X საუკუნედამ, შემდეგ საერო კანონები, რომელთაც მოჰყვა ხანა ქართველთ კლასიკურ თხზულებათა: ვისრამიანისა, ვეფხის-ტყაოსნისა, ბალავარისა, ამირან-დარეჯანიანისა, მატიანეთა, ფულთა (მე-V საუკუნედამ) ზედ-წარწერით და სხ.

ეს ხომ ითქმის ქრისტიანობის მომდევნო საუკუნოებზედ და არა გვგონია, რომ თვით ურწმუნო თომათაც უარ-ჰყონ ეს ფაქტნი ქართველთ წარმატებისა და უტყუარი საბუთნი ქართველთ კულტურისა და ცივილიზაციისა. მაგრამ ჩვენ არ შევჩერდებით მარტო ამ ხანაზედ, არამედ მოვიყვანთ მრავალს ცნობებსა და საბუთებს შესახებ ქართველთ ყოფა-ცხოვრებისა ყველა ეპოქებიდგან, წარმართობიდგან დაწყებული მოდღეინდელად დრომდე და ვეცდებით, რაოდენადაც ძალლონე შეგვწევს, ავხსნათ იგი საბუთნი ეთნოგრაფიულისა და კულტურულის მხრით.

ხოლო აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რადგან უარ-მყოფელებს უვრცელესი ჩვენი მატიანე (ქართ. ცხოვრება), მიუხედავად მისის დიდის ღირსებისა, არა სწამთ, ჩვენც ამ ხელად გვერდს ავუქცევთ მას და ვეცდებით სულ სხვა, უტყუარ და უცხო წყაროებიდამ ამოვკრიბოთ ცნობები შესახებ ქართველთ კულტურისა და ცივილიზაციისა. ამ გვარ წყაროდ ჩვენ ვსთვლით უცხოელთა მწერალთა და მეცნიერთ ცნობა-გამოკვლევათა, აგრეთვე ჩვენსავე გუჯრებს, სიგელებს, ხუროთ-მოძღვრულ ნაშთებს, მათს წარწერას, ნუმიზმატიურ ფაქტებს, ძველს სამწერლო ნაშთებს, საფლავებში პოვნილ ნაშთებს, ლეგენდებს, მითებს, ანდაზა-გამოცანათა და სხ. ყველა ამ მასალაში უტყუარად გამოიხატება ქართლოსიანთა ერის შეხედულობა ადამიანის მოწოდებასა და ქვეყანაზედ, ანუ, სხვა ნაირად რომ ვსთქვათ, მთელი ფილოსოფია ქართლოსიანთა ერისა...

ჯსომ

ში ამბობენ, რომ ქალებსაც უნდა ჰქონდეთ არჩევანში მონაწილეობის უფლებაო. ამ ხელის-მომწერთა შორის 14,000 ქალი ქმრიანია.

— პარიჟის გაზეთს „Matin“-ს ამას წინად მომხდარ სენის არჩევნების დროს 250 კორრესპონდენტი ჰყოლია. ამ 250 კაცისთვისვე დამზადებული ჰქონია 220 ეტლი და 30 ველოსიპედი.

—ვენის ერთს კოლექციაში შეუძენიათ 2½ კაპიკიანი ფული, რომლის მეორე მხარეზედაც გამოკვეთილი ყოფილა ბულანჟეს თავი, ყელში დახვარ-გაურილი. ქვეშ შემდეგი წარწერა ჰქონია: „Boulanger I Empereur, 1889“.

— პარიჟის სამოქალაქო სასამართლოს პირველს პალატაში ამ დღეებში გაურჩევიათ ერთი მეტად საყურადღებო საქმე ლიტერატორთ და ჟურნალისტთათვის. საბაბი საჩივრისა პსევდონიმი ყოფილა. ენა-მახვილა ჟურნალისტი ანრი ფუკია, რამდენისამე წლის განმავლობაში, სწერდა „Gil-Blas“-ში პაწია მოთხრობებს, საუბართ და სხ. „კოლომბინის“ სახელით. ყველამ იცოდა, რომ ამ პსევდონიმით ფუკიე სწერსო. ფუკიემ ამას წინად თავი დაანება „Gil-Blas“-ს და მეორე გაზეთში დაიწყო თურმე თანამშრომლობა იმავე პსევდონიმით. ამავე დროს „Gil-Blas“-ში იწერებოდა წერილები და ქვეშ იგივე „კოლომბინავე“ ეწერა პსევდონიმად. ფუკიემ სასამართლოში იჩივლა. „Gil-Blas“-ის რედაქცია ამტკიცებდა, რომ ამ პსევდონიმით გაზეთში ფუკიეზედ ადრეც იწერებოდა წერილებიო. სასამართლომ უარ-ჰყო საჩივარი ფუკიესი და საქმეთ წარმოების ხარჯი გადაახდევინა თურმე.

— ჰამბურგში გამოძიებაა დანიშნული მოხრჩობილ კატების თაობაზედ. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ერთ ვიღაც ქალს რამდენიმე ემაწვილი აყვანია აღსაზრდელად სახლში და ეჭვი მიუტანიათ, რომ ემაწვილებს კატის ხორცს ხომ არ აჭმევსო. გამოუძიებიათ ეს საქმე და მართალი გამომდგარა - პოლიციას ახლად მოხრჩობილი კატა უპოვნია. ემაწვილები ჯან-საღათ არიან და ავად არ დამხდარან.

— ელექტრონის შემწეობით დამნაშავის სიკვდილით დასჯა ამერიკაში უკვე ფეხს იდგამს და ერთი კაცი კიდეც დაუსჯიათ ამ გვარად. ეს კაცი ყოფილა გერმანელი იოსებ რეიტში, ქალის მკვლელი. ჯერ პირველში ხბოსა და ცხენზედ უცდიათ სასიკვდილო იარაღი. ბრალდებული ხის სკამზე დაუსვამთ, ზედ მიუბამთ თასმით, სახეზედ რაღაც აუფარებიათ და შემდეგ ლითონის რგოლი ჩამოუცვამთ კისერზედ. ელექტრონის ნაპერწკალს გაუვლია ამ რგოლში და თვალის დახამხამებაზე მოუკლავს დამნაშავე, თითქო მეხი დაეცა და თან ჩაიტანაო. როცა მოკლულის გვამი გაუჭრიათ, აღმოჩენილა, რომ ტვინში სისხლი დაჭგუბებია. გული და ღვიძლი შეუშლელად დარჩენია.

— ამერიკა ამ ქვეყნიური სამოთხეა სწორედ არტისტებისათვის. დიდი შეძლება აქვსთ იქაურს არტისტებს. მაგალითებრ, ჯეფერსონს 10 მილიონი მანათი ქონება აქვს, ედვინ ბუტს—სამი მილიონი და თითო მილიონის პატრონი ხომ ბევრნია.

— საფრანგეთში სულ 19 ქალი-ექიმია, ამათში ერთი რუსი და ერთიც პოლშელი.

— ამას წინად ერთს ინგლისელს დიდი სიპატიოსნე გამოუჩენია. ეს ინგლისელი ძველის-ძველ, ისტორიულ ნივთთა შემკრებელ საზოგადოების აგენტი ყოფილა. ამ კაცს პარიჟში ბ ნის ჟ—საგან უყიდნია ძველი კამოდი და გაუგზავნია ლონდონში. ამ თითქმის დამტვრეულს ნივთში კაი ძალი ფულიც გადაუხდია. ამ დღეებში ბ ნს ჟ—ს მიუღია ლონდონიდგან წერილი და ორასი მანეთი ფული. წერილში ნათქვამი ყოფილა, რომ კამოდის საიდუმლო ყუთში ვიპოვნეთ ეს ორასი მანეთი და უკანვე გიბრუნებთო. მხოლოდ წერილის წაკითხვის შემდეგ მოჰგონებია ჟ—ს, რომ ამ რამდენისამე წლის წინად მართლაც შეუნახავს ეს ოცი თუმანი და ბოლოს სრულიად გადავიწყებია.

# დეპეშა

30 იანვარი

**ჩარჯუი.** 30-ს იანვარს ავღანის ემირი აბდურახმან-ხანი მივიდა მაზარსა და შერიფში და დაიწყო ხოცვა ისააკ-ხანის მომხრეებისა. ამასთანავე ემირმა გამოიჩინა მტრობა რუსეთისადმი: შესწყვიტა ვაჭრობა რუსეთთან, გაამრავლა დარაჯი რუსეთის საზღვრებზე და ხმა დააგდო, რომ ომი იქნებაო. თუმცა შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ემირი ასე მოქმედობს იმიტომ, რომ ერს თვალი აუხვიოს შინაურს საქმეებზე და სახელი გაითქვას, მაგრამ რუსეთმა საჭირო ღონე უნდა იღონოს, რათა მზად იქმნას, თუ ეინიცობაა მშვიდობიანობა დაირღვა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ აცნობებენ დეპეშით კალკუტიდგან, რომ აბდურახმან-ხანი ამ ჟამად ავღანის თურქისთანშიაო და განზრახვა აქვს ეს ქვეყანა მიმოიაროს, რათა საქმე წესსა და რიგში მოიყვანოსო. აბდურახმან-ხანს თან ახლავსო ხუთი ათასამდე ჯარის-კაციო.

31 იანვარი

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა სახელმწიფო ბანკის გამგებელი ციმსენი.

„Новости“ იუწყება, რომ 18 ნოემბერს 1888 წელს უმაღლესად ნაბრძანები იყო ხელმძღვანელობა ტარიფებისა რკინის გზებზე ჰქონდეს ფინანსთა სამინისტროსაო. დღეს ამ ბრძანების განსახორციელებლად, მოჰრიგდნენ ერთმანეთში მინისტრები: ფინანსთა, გზათა და სახელმწიფო ქონებათა და სახელმწიფო კონტროლიორი. ყველა ამათ წარუდგინეს სახელმწიფო საბჭოს პროექტი, რომ მთავრობას თვალყური ეჭიროს და ზედამხედველობა და კონტროლი ჰქონდეს რკინის გზებსაო.

**ჩარჯუი.** აქ მოვიდა უფროსი ამიერ-კასპიის მხარესი და უფროსი აქაური შტაბისა.

აბდურახმან ხანი ამ ჟამად იმყოფება დიდის ამალით ტაშ ყურღან ხულმში, ამუ-დარიიდამ 32 ვერსის მანძილზე.

**რომი.** პაპმა სიტყვა წარმოსთქვა და მოიხსენია, რომ იმედია ჩვენი და რუსეთის მოლაპარაკება საკეთილოდ დაბოლოვდებაო. ეპისკოპოსების გამწესების საქმე ჯერ არ გადაწყვეტილა.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ 268 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 222 შეიწყნარა, რომ აღდგენილ იქმნას წესი არჩევანებისა თემ-თემად.

**ლონდონი.** მოვიდა ამბავი, რომ იტალიის ჯარი დაიძრა მასსოვიდამ კერენისაკენაო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 იანვარი.

| | მყიდველნია | გამყიდველნია | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 51 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 269¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 250½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 98 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 82½ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.
თებერვალი 28 დღით არის.

**1 დღე** ოთხშაბათი. წინა დღესას, წაული მირქმისა უფლისა იესო ქრისტესი. კათოლ. იგნატისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-13 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა-1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—58, ჩადის 5—30. მთვარე 14 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |


# განცხადებანი

სრული ლოტო,

რომელიც შეადგენს 60 სულის სათამაშოს, ე. ი. 240 კარტს აგრეთვე ვაახლებ ძველს ლოტოს და ნომრებს. მსურველთ შეუძლიანთ იკითხონ გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ი. კალატოზოვი.

საპონი
პროვიზორის
**ა. მ. ოსტროუ-მოვისა**
თმის ჩამოსვლისა და თეზოს აღაცილებლად.
სიყალბის ასაშორებლად, **ნამდვილი საპონი** ითხოვეთ, ისეთი, რომელსაც იარლიკზე უჯდეს მთავრობის მიერ დამტკიცებული მარკა
**№ 3374.**
ისყიდება თითო 30 კაპ. დიდი ნაჭერი ჰღირს 50 კაპ. იშოვება აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.
საწყობი იმყოფება მოსკოვს, პოკროვკას, მაშკოვის შესახვევში, მერკულოვის სახლებში. (10—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| | მან. | კაპ. |
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | | „ 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | | „ 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | | „ 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | | „ 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | | „ 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | | „ 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | | „ 30 |



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„ივერია“**
1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.
ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | | 6 თთვით | 6 მ.—კ. | |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 » | 5 „ 25 „ | |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 » | 4 „ 75 „ | |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 » | 3 „ 50 „ | |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 » | 2 „ 75 „ | |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 » | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შეაცვლა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:
ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოზით 7-დამ 8 საათამდე.
რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.



გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავში




ეს წიგნი შეიცავს 600 გვერდს, კარგად მოზრდილია და შიგ მრავალ გვარი ცნობებია მოქცეული. წიგნი დაყოფილია თორმეტ განყოფილებად და ყველა განყოფილების დასაწყისში დაწვრილებით მოხსენებულია განყოფილების შინაარსი და სარჩევი.

წიგნი ისყიდება ქუთაისსა და ფოთში, ბათუმსა და გორში, თელავსა და სიღნაღში, ხონსა და ოზურგეთში და სხვა ადგილებშიაც.

**ფასი ცხრა შაური.**

(10—8)


Доз. ценз. Тифлисъ 31-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე